საქართველოს კარი რუსული კაპიტალისათვის ღიაა

ჟურნალი “ბიზნეს ექსპრესი” - № 14, 17 ივლისი, 2008

მიუხედავად იმისა, რომ რუსეთ-საქართველოს შორის ლამის ზარბაზნები ქუხს და საქართველოს მთავრობამ საქართველოს ელჩი რუსეთში მოსკოვიდან კონსულტაციებისთვის გამოიწვია, რუსული კაპიტალი არა მხოლოდ წარმოდგენილია ჩვენს ქვეყანაში, არამედ მისთვის კარი ფართოდაცაა გაღებული. მოარული ხმებით, თითქოს გაზტრანსგაზიც იყიდება და მისი პოტენციალური მყიდველი “რაო-ეესია”, თბილისის წყალს კი უკვე ჰყავს ახალი მფლობელი, ოფიციალური ინფორმაციით, შვეიცარიული ფირმა, რომელიც, ყოველ შემთხვევაში, შვეიცარიაში წყლის ბიზნესით ნამდვილად არ არის დაკავებული (რაც ეჭვის საფუძველს ბადებს), ისევე, როგორც უცნობია თითქოსდა ჩეხური წარმოშობის ენერ-გოპროს რეალური წარმომავლობა. რატომ შემოდიან საქართველოში, ძირითადად, ოფშერულ ზონებში დაფუძნებული კომპანიები და რატომ ერქმევა პრივატიზაცია უცხო ქვეყნის სახელმწიფო კაპიტალის მიერ საქართველოს სახელმწიფოს საკუთრების შეძენას, ამ საკითხების გარკვევას ეკონომიკის ექსპერტთან, ლადო პაპავასთან, ერთად შევეცდებით:

– საქართველოში დაინერგა ასეთი პრაქტიკა: ჩვენი თანამდებობის პირები, დამოუკიდებლად ან უცხოელ პარტნიორებთან ერთად, საზღვარგარეთ, და განსაკუთრებით სხვადასხვა ოფშერულ ზონებში ქმნიან ფირმებს, შემდეგ შემოდიან ქვეყანაში, როგორც უცხოელი ბიზენსმენები და იწყებენ ბიზნესს. შესაძლოა, ფირმა არც იყოს რეგისტრირებული ოფშერულ ზონაში, მაგრამ მაინც არავინ იცოდეს მისი წარმომავლობა. მაგალითად, ვიცით, რომ ენერგო-პრო ჩეხეთშია შექმნილი. პირველი ინფორმაცია, რომელიც ენერგო-პროს შესახებ გავრცელდა იყო ის, რომ ეს არის კომპანია, რომელიც ფლობს ენერგეტიკულ ობიექტებს საქართველოში. ვინ იყიდა თბილისის წყალი?

რომელიღაც შვეიცარიულმა კომპანიამ, მაგრამ ეს ფირმა შვეიცარიაში არ არის ცნობილი წყლის ბიზნესში. არ უნდა გაგვიკვირდეს, რომ შემდეგ აღმოჩნდეს, რომ ამ ფირმის უკან დგანან რუსი მილიონერები და ქართველი ჩინოვნიკები. ბოლო წლებში დამკვიდრდა პრაქტიკა, რომ ამა თუ იმ ობიექტის პრივატიზაციამდე ორი-სამი დღით ადრე რეგისტრირდება რაღაც ფირმა, რომელიც უცებ ხდება გამარჯვებული და არავინ იცის, ვინ დგას ამ ფირმის უკან. ხშირად მესამე ქვეყნებში აფუძნებენ შვილობილ კომპანიებს, ძალიან შთამბეჭდავი სახელით და ვერ გაიგებ, რა არის. მაგალითად, ყველას გვეგონა, რომ ყოფილი იმელის შენობა იყიდა კემპინსკიმ, მაგრამ აღმოჩნდა, რომ შენობის მფლობელია "კაპიტალ ვოსტოკი". სახელწოდება გვიჩნდება ეჭვს, რომ ეს რუსული კომპანია უნდა იყოს. რეალურად, კემპინსკი არის სასტუმროს ოპერატორი, მაგრამ ჩვენ არ ვიცოდით, ვინ მოქმედებდა მათი აბრის ქვეშ. ვარდების რევოლუციის შემდეგ საკმაოდ აქტიურად დაიწყო ბრძოლა კორუფციის წინააღმდეგ და ბევრი საეჭვო წარმომავლობის ფირმა განიდევნა საქართველოდან, მაგრამ მინუსი არის ის, რომ ერთ საეჭვო ფირმას მეორე ჩაენაცვლა. ვნახოთ, რა ხდება სამედიცინი ბიზნესში, რომელიც სამი ფარმაცევტული ფირმის მიერაა მონოპოლიზებული: არის კარგი წამალი, მაგრამ აღარ შემოდის საქართველოში, იმიტომ რომ ერთი ფირმა მის წარმოებას ადგილზე იწყებს, და არც მეორე ფირმას შემოაქვს, იმიტომ რომ ისინი ერთმანეთთან შეთანხმდნენ, არადა მე, მომხმარებელს, უნდა მქონდეს არჩევნის საშუალება, ძვირად ღირებული ამერიკული ტაილენოლ-ქოლდი ვიყიდო თუ იაფი, ქართული ტაიქოლდი. ფარმაცევტულმა კომპანიებმა უკვე საავადმყოფოების ხელში ჩაგდებაც დაიწყეს, ან რა ესაქმებათ მათ აბანოებთან? მოხდა პრივატიზაცია და ზოგიერთი აბანო ფარმაცევტული კომპანების ხელში გადავიდა. არ მინდა კონკრეტული ფირმების დასახელება, მაგრამ რა შუაშია აბანო ფარმაციასთან, რაკი ორივე ჰიგიენასთანაა კავშირში?

– რა გავლენა შეიძლება, იქონიოს საქართველოში რუსული კაპიტალის მოზღვავებამ გამწვავებულ რუსულ-ქართულ ურთიერთობებზე?

– მე მაინც ვფიქრობ, რომ საღი აზრი გაიმარჯვებს თბილისშიც და მოსკოვშიც და ომი არ გაჩაღდება, რადგან ომი არც ერთი მხარისთვის არ

არის მისაღები: არც ქართველებისთვის, არც რუსებისთვის და, უპირველესად, აფხაზებისთვის, იმიტომ რომ, როგორც უნდა წარიმართოს მოვლენები, ყველაზე მძიმე შედეგით ის მაინც აფხაზებისთვის დამთავრდება, ეს იქნება ერის განადგურება. ძალიან მძიმე შედეგი ექნება ამას საქართველოსთვისაც, იმიტომ რომ დაპირისპირება არ შემოიფარგლება მხოლოდ აფხაზეთის ტერიტორიაზე საომარი მოქმედებებით და ჩვენ ყველას უნდა გვახსოვდეს, რომ, როდესაც კოსოვოში საომარი მოქმედებები მიმდინარეობდა, ბელგრადი დაიბომბა და გახსოვთ ისტორია, როგორ მოხვდა ერთ-ერთი მომბი ბელგრადში ჩინეთის საელჩოს.

– მით უმეტეს, როგორც ამბობენ, რუსებს არ აქვთ ისეთი ზეზუსტი იარაღი, როგორიც ამერიკელებს.

– მე არ ვარ ამ საქმის ექსპერტი, მაგრამ ვფიქრობ, რომ სადი აზრი გაიმარჯვებს და, მეორე, ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, რუსეთისთვის ძალიან მნიშვნელოვანია და ეს ბუნებრივიცაა, რომ სოჭში ჩატარდეს ოლიმპიურ თამაშები, არადა, როგორც უნდა დამთავრდეს სამხედრო ოპერაციები, ის დიდ ზიანს მიაყენებს ოლიმპიადის ჩატარების პერსპექტივას, იმიტომ რომ აფხაზეთი სოჭთან ძალიან ახლოსაა. ამას ყველა ითვალისწინებს: მოსკოვიც, თბილისიც და სოხუმიც. რაც შეეხება რუსული კაპიტალის შემოსვლას: ეს მეც ყოველთვის მაეჭვებდა და მაფიქრებდა, მაქვს ჩემი ვერსიები, მაგრამ ეს მაინც ვერსიებია და ამაზე ლაპარაკი ჭორაობას დაემსგავსება. რუსეთთან ძალიან მწვავე ურთიერთობა გვაქვს და ამას აქვს ობიექტური მიზეზები: რუსეთმა, ფაქტობრივად, ჩვენი ორი რეგიონის ანექსია მოახდინა, ის დამპყრობელია და ჩვენ მასთან ძალიან სამართლიანად გვაქვს პრობლემები. თუმცა, მეორე მხრივ, ჩვენ ვაღებთ კარს და ვუხმობთ რუსულ ინვესტიციებს.

– და ვამბობთ, ფულს სუნი არ აქვსო.

– ფულს ძალიან მძაფრი სუნი აქვს, განსაკუთრებით პოლიტიკური. ამასაც რომ თავი დავანებოთ და უსუნოც იყოს, ფული ზეგავლენის საკმაოდ სერიოზული ბერკეტია. რუსები არც მალავენ, მათ აქვთ გეგმა, რომ ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკები სწორედ ეკონომიკური მექანიზმებით მოაქციონ

იმპერიულ სივრცეში. როდესაც გაიჟღერა, რომ ყაზახური კომპანია აპირებს, რომ გაყიდოს თავისი საკუთრება საქართველოში და რუსეთს მიჰყიდოსო, ეს სულაც არც მიკვირს. ჩვენ გვახსოვს, რომ ჯერ კიდევ შევარდნაძის მმართველობის პერიოდში გაკოტრდა ამერიკული "ეი-ი-ესი" და თავისი აქტივები რუსებს მიჰყიდა, იმიტომ კი არა, რომ მაინცდამაინც, რუსეთისთვის უნდოდა, მიეყიდა, არამედ იმიტომ, რომ ამ სივრცეში დაინტერესებული და ბევრის გადამხდელი მყიდველი მხოლოდ რუსეთი იყო. რუსეთისთვის თელასი სტრატეგიული მნიშვნელობის ობიექტია. ზუსტად იგივე შეიძლება, განმეორდეს ამ შემთხვევაშიც: ყაზახები დღეს საქართველოში ძალიან ბევრ ობიექტს აკონტროლებენ, მათ ბრწყინვალე ურთიერთობა აქვთ რუსეთთან, შესაძლოა, მათი მიზანი არ იყოს ამ ობიექტების რუსეთისთვის მიყიდვა, თუმცა არც ესაა გამორიცხული, მაგრამ პოტენციურად ყველაზე მეტად დაინეტერესებული სწორედ რუსული კომპანიები არიან. ერთ რამესაც შეგახსენებთ: მაისის თვეში, ჯერ კიდევ არჩევნებამდე, როდესაც საკმაოდ გართულებული იყო ქართულ-რუსული ურთიერთობები, საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრმა გააკეთა განცხადება, რომ საქართველო მიესალმება რუსულ ინვესტიციებს და მათთვის საქართველოს კარი ღიაა. თუმცა ფაქტია, რომ, განსაკუთრებით, სტრატეგიულ ობიქტებთან მიმართებაში გასხვისებისგან თავი უნდა შევიკავოთ. განზრახ გამოვიყენე სიტყვა – გასხვისება და არა – პრივატიზაცია. გასხვისება უფრო ფართო ცნებაა, ვიდრე პრივატიზაცია. მაგალითად, როდესაც თბილგაზი ყაზმუნაიგაზმა იყიდა, ეს არ იყო პრივატიზაცია, ეს იყო გასხვისება, იმიტომ რომ ყაზმუნაიგაზი არის ასპროცენტიანად სახელმწიფო კომპანიაა, პრივატიზაცია კი ნიშნავს, როდესაც ობიექტის მფლობელი ხდება კერძო კომპანია, ჩვენ შემთხვევაში კი ერთი სახელმწიფოს საკუთრებას ყიდულობს მეორე სახლმწიფო, რაც არავითარ შემთხვევაში არ არის პრივატიზაცია.

ნინო მდივანი